ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4887384

ნომერი: AR1736819

თარიღი : 27.02.2020

გაცემის თარიღი : 06.03.2020

გაცნობის თარიღი : 06.03.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, რომანოზ ხომლელის ქუჩა, N 56;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბესიკ თოდუა პ/ნ 01010005245
- ჭოქაძის ქ.#10ა ბინა #28

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- ორი ან მეტი ფუნქციის მქონე ობიექტები
  - მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2020 წლის 27 თებერვლის #AR1736819 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქ თბილისში, რომანოზ ხომლელის ქუჩა #56, არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.20.003.143) მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 14-39 (24.05.2016) დადგენილების მუხლი 4-ის პუნქტი 1 „ც“ ქვეპუნქტის შესაბამისად საპროექტო მიწის ნაკვეთზე ფუნქციური გამოყენება შერეულია. აქედან გამომდინარე დასაცავია ნაკვეთზე მოქმედ ფუნქციურ ზონებს შორის საზღვრები.

საპროექტო მიწის ნაკვეთის ის ნაწილი სადაც ახალი ობიექტის განთავსებაა დაგეგმილი მდებარეობს საზოგადოებრივ საქმიან ზონა 2-ში. საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2 (სსზ-2)-ში, მომქმედი კანონმდებლობით მშენებლობისთვის მინიმალური ფართობია 700 კვ.მ., მინიმალური სიგანე 20 მეტრი, მინიმალური სიღრმე 30 მეტრი. (თუ მიწის ნაკვეთს არ გააჩნია სწორკუთხა ფორმა, მის სიგანედ მიიჩნევა საზოგადოებრივი სივრცის/ქუჩის მხარე საზღვრების გაბარიტული ზომა, რომლის მიმართ მართობული ზომა მიიჩნევა მის სიღრმედ).

ვინაიდან საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2 (სსზ-2)-ში მდებარე ტერიტორიას არ გააჩნია მოსაზღვრე საზოგადოებრივი საზღვარი, მაშინ განაშენიანების სიმაღლის რეგულირების ხაზი უნდა დადგინდეს მისი სამეზობლო საზღვრ(ებ)იდან.

აღნიშნულის გათვალისწინებით წარმოადგინეთ შენობის განთავსების სქემა და გაითვალისწინეთ, რომ საპროექტო შენობის განთავსება შესაძლებელია საკადასტრო საზღვრიდან მინიმუმ 3 მეტრის მანძილზე.

დამატებითი ხარვეზები გეცნობებათ მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით ატვირთული დოკუმენტაციის განხილვის შემდგომ.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.